სსიპ კოლეჯი მოდუსი

25/02/2025

MES 1 25 0000204580

"სსიპ კოლეჯ მოდუსში ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესისა და ვიდეომონიტორინგის ჩანაწერებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირების განსაზღვრის შესახებ" სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 თებერვლის N243316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 63-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ კოლეჯ მოდუსში ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესისა და ვიდეომონიტორინგის ჩანაწერებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირების განსაზღვრის შესახებ" სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 თებერვლის N243316 ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებულ წესში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს აღნიშნული ბრძანების გაცნობა დირექტორის მოადგილეებისთვის, უსაფრთხოების თანამშრომლებისთვის, IT სპეციალისტისთვის და იურისტისთვის;
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. 6).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ კოლეჯი "მოდუსი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ქავთარაძე ნინო

ელექტრონული მფლობელობა

სსიპ კოლეჯ მოდუსში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

1. სსიპ კოლეჯ მოდუსში ვიდეომონიტორინგის განხორიელების წესი შემუშავებულია, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. პირთა უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, ასევე, პროფესიული სტუდენტი/მსმენელების მავნე ზეგავლენისგან დაცვის და გამოცდების ჩატარების მიზნებისთვის კოლეჯის შენობებში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგი.

3. კოლეჯის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის გარე პერიმეტრის სრულად ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

4. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის სასწავლო აუდიტორიების, დერეფნების, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

4. კოლეჯში სასწავლო აუდიტორიებში ვიდეოთვალთვალის სისტემა განთავსებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტუდენტების, მათ შორის, არასრულწლოვნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის საკუთრებაში არსებული და აუდიტორიებში განთავსებული მატერიალური რესურსის დაცვის მიზნით. ვიდეოთვალთვალის სისტემით არ ხდება სასწავლო აუდიტორიების ვიდეოკონტროლი და ხდება მხოლოდ ვიდეოჩაწერა. აღნიშნული სისტემით გაკეთებული ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მხოლოდ დირექტორისა და IT სპეციალისტის მიერ უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებით.

5. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება კოლეჯის საპირფარეშოში და გამოსაცვლელ ოთახებში.

6. კოლეჯის გარე და შიდა პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეოკონტროლის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია კოლეჯის შენობის შესასვლელსა და ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებში;

7. კოლეჯში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯში არსებული უსაფრთხოების სამსახური;

8. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე და ჩანაწერის ნახვა შეუძლია კოლეჯის დირექტორს და IT მენეჯერს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს ჩანაწერს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

9. აუდიოკონტროლის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ კოლეჯის მიერ დისტანციური ჩართვის განხორციელებისას ან მომსახურების გაუმჯობესების მიზნებიდან გამომდინარე, სუბიექტის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში.